

620.9(05)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
პაკშილი "მეცნიერება და მეცნიერება"

ე ნ ი რ გ ი ს

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

**1(101)/2022**

---

---

თბილისი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

<b>გ.პრაბიძე, გ.პრაბიძე. ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფების ცვლილების დინამიკა 2006-2021 წწ. ....</b>	<b>5</b>
<b>მ.გვარამაძე. ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება ქვესადგურების პერსონალის დია გამანაწილებელი მოწყობილობების მომსახურების დროს.</b>	<b>14</b>
<b>ნ.ასაანიძე, ივ.ტაბათაძე. ელექტროენერგიის ხარისხი, მისი მონიტორინგი და სტანდარტიზაცია. ....</b>	<b>20</b>
<b>ნ.ასაანიძე, ო.პ.ურლიაშვილი. ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრები.</b>	<b>25</b>
<b>ზ.გოგიანიძე, გ.ხარშილაძე, ნ.გოგოლიძე. ელექტრომექანიკური გარდამქმნელების შუბლური ნაწილების გარეშე. ....</b>	<b>30</b>
<b>ივ.ტაბათაძე. მზის ელექტროსადგურის გავლენა ენერგიის ხარისხის პარამეტრებზე. ....</b>	<b>34</b>
<b>ივ.ტაბათაძე. ფოტოელექტრული სისტემების საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა. ....</b>	<b>38</b>
<b>რ.ჩიხლაძე, ქ.ჩიხლაძე, ზ.ჯანიაშვილი. მაღალი ძაბვის ძრავის საიზოლაციო სისტემის წინაღობის დამოკიდებულება ძაბვის მოქმედების ხანგრძლივობაზე. ....</b>	<b>42</b>
<b>გ.ხ ურცილავა, ო.პილურაძე. მეტროპოლიტენის ენერგომოხმარების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. ....</b>	<b>48</b>
<b>რ.გურგენიძე. შუალედურსაყრდენიანი ქანქარისებრი კიდული ბაგირგზების ელექტროამძრავის მაღალი დინამიკური მახასიათებლების მქონე მოძრაობის ტაქოგრამის დამუშავება. ....</b>	<b>57</b>
<b>გ.თურმანიძე. ოპტიკური პოლოგრაფიის გამოყენება ბეტონის რღვევის მექანიკაში. ....</b>	<b>64</b>
<b>სტატიების შემოტანის წესები. ....</b>	<b>72</b>

ଆନ୍ଦୋଳନ

ელექტრონური სამომხმარებლო ფარიზების ცვლილების დინამიკა 2006-2021 წლებში.

გ.არაბიძე, მ.არაბიძე

"ენერგია". №1(101). 2022. ობილისი. გვ. 5-13. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მოცემულია საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტისა და თბოგენერაციის წილი 2021 წლის საერთო მოხმარებაში. წარმოდგენილია ელექტროენერგიაზე საყოფაცხოვრებო ტარიფების ცვლილების დინამიკა 2006-2021 წლებისათვის თეთრებში და აშშ ცენტრებში. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ტარიფის ზრდის ძირითადი კომპონენტი ეროვნული ვალუტის გაუფასურებაა და არა საინვესტიციო პაკეტის გაუმჯობესება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დადგენილია, რომ დღეს არსებული ტარიფი ეროვნულ ვალუტაში  $\approx$ 41%-ით მეტია 2006-2012 წლების,  $\approx$ 60%-ით მეტია 2013-2015 წლების და  $\approx$ 16%-ით მეტია 2016-2020 წლების ტარიფებთან შედარებით. აშშ დოლარებში ტარიფის ცვლილების დინამიკა ასეთია: 2006-2012 წლებთან შედარებით შემცირებულია  $\approx$ 28%-ით, ხოლო 2013-2015 და 2016-2020 წლებთან შედარებით გაზრდილია  $\approx$ 18 და  $\approx$ 15%-ით.

օլո. 6, ըեռ. 2, լուրջ. 9

ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება ქვესაღგურების აპროცესის ღია გამაცაფილებელი მოწყობილობების მომსახურების დროს მკვარამაძე.

"ენდორგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 14-19. ქართ. ანოზ. ქართ. ინგლ. რუს.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქვესადგურის ღია გამანაწილებელი მოწყობილობების მომსახურე პერსონალზე მოქმედებს მთელი რიგი მავნე ფაქტორები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სამრეწველო სისტემის ელექტრული ველის დამაბულობა. პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანების რისკის შემცირებისათვის საჭიროა ქვესადგურის ღია გამანაწილებელ მოწყობილობების მომსახურე პერსონალის ყოფნის ზონაში ელექტრული ველის დამაბულობის სიდიდე უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგინდებით დასაშვიტი დონის საზოგრაფში.

卷之六

ელექტრონური სარისეი, მისი მონიტორირები და სტაციონარული ნაკვანიძე, ივ.ტაბაჩიძე.

"ენარგია", №1(101), 2022. თბილისი, გვ. 20-24. ქართ. ანონ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ზოგადად ელექტროენერგიის ხარისხი. უშუალოდ რას წარმოადგენს, განვითარების ეტაპები და რატომ ჩამოყალიბდა ელექტროენერგეტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად. ჩამოთვლილია ელექტროენერგიის ხარისხის გაუარესების გამოწვევი მიზეზები. წარმოდგენილია ხარისხის სამონიტორინგო მეთოდები. აგრეთვე ასახულია სტანდარტიზაციის სახე რომელიც დღეისათვის არსებობს საქართველოში. უშუალოდ რა ზღვრული ნორმებია განსაზღვრული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარტივლირებელი ეროვნული კომისიის მიერ. ქვემოთ წარმოდგენილი ზღვრული ნორმები გამოიყენება ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრების კონტროლისა და ანალიზისათვის.

ცხრ. 2, ლიტ. 5.

ელექტროენერგიის სარისკის პარამეტრები

6. ასპანიძე, თ. ბურდიაშვილი.

"ენერგია". №1(101). 2022. ობილისი. გვ. 25-29. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განსილულია ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრიზაცია. აღწერილია ელექტროენერგიის მთავარი პარამეტრები, რომლებიც თავს იჩენს დენის, ძაბვის და სიხშირის მნიშვნელობების ნომინალურიდან გადახრით გამოვლენილ წებისმიერ პრობლემას, რამაც

შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილობებისა და დანადგარების გაუმართავობა და დაზიანება. თითოეული პარამეტრის შემთხვევაში განხილულია მათი აღწერა და მნიშვნელობა. ქვემოთ წარმოდგენილი პარამეტრები სრულად გამოიყენება ელექტროენერგიის ხარისხის კონტროლისა და ანალიზისათვის.

ლიტ. 6.

ელექტროგანერაციური გარდამქმნელების შუბლური ნაშილების გარეშე.

ზ.გობიანიძე, გ.ხარშილაძე, ნ.გოგოლიძე.

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 30-33. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ელექტრომქანიკური გარდამქმნელების ახალი კონსტრუქცია დენგამტარი ნაწილის მინიმალური დანახარჯებით. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული ელექტრომქანიკური გარდამქმნელების შუბლურ ნაწილებზე იხარჯება დენგამტარი გრაგნილების მთლიანი მასის თითქმის 30%. შუბლურ ნაწილებში ელექტრომქანიკური ენერგიის გარდაქმნა არ ხდება. იგი წარმოადგენს ზედმეტ ტვირთს მოცემული ნაკეთობისათვის, რადგანაც იწვევს დამატებით კარგვებს და გახურებას.

ილ. 5, ლიტ. 3.

მზის ელექტროსადგურის გაგლენა ენერგიის ხარისხის პარამეტრები.

ივ.ტაბატაძე

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 34-37. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია მზის ფოტოელექტრულ სისტემებზე გავლენა გამანაწილებელ ელექტროესელზე. მზის ენერგია პერსპექტიული დარგია ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა მზის სადგურების ქსელში ინტეგრაციისას არსებობს გვერდითი ელექტრული პროცესები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ქსელის ენერგიის ხარისხის პარამეტრებზე. აუცილებელია, რომ დაცული იყოს ელექტრულ ქსელში მზის არასტაბილური ენერგიის დასაშვებობის დონე, რათა შენარჩუნებული იყოს ენერგიის ხარისხის და უსაფრთხოების მოთხოვნები.

ილ. 1, ლიტ. 3.

ფოტოელექტრული სისტემების საერთაშორისო სტანდარტები ზოგადი მიმოსილვა

ივ.ტაბატაძე

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 38-41. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია მზის ფოტოელექტრულ სისტემებზე ორიენტირებული მოქმედი ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები. მზის ენერგეტიკა მუდმივად განვითარებადი დარგია, სადაც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ნებისმიერი ფოტოელექტრული პროექტისთვის და მასთან დაკავშირებული მოწყობილობისთვის საერთაშორისო ნორმები გამოსაცდელ და საექსპლუატაციო დონეზე. სტატია წარმოადგენს გზამკვლევს და იძლევა საშუალებას თემატიკის მიხედვით შეირჩეს საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) სტანდარტების მაგალითზე ნებისმიერი სიმძლავრის და ტიპის მზის ელსადგურების დაპროექტების შემთხვევაში. სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს სისტემის გამართულად მუშაობას, მინიმუმადე დაყავს ელექტრული, მექანიკური, თერმული, ქიმიური და სხვა დაზიანებები.

მაღალი ძაბვის ძრავის საიზოლაციო სისტემის ფინანსის დამოკიდებულება ძაბვის მაგავის მომენტების ხანგრძლივობაზე.

რ.ჩიხლაძე, ქ.ჩიხლაძე, ზ.ჯანია შეიძლი.

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 42-47. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია მაღალი ძაბვის ძრავის სტატორის საიზოლაციო სისტემის კორპუსის მიმართ წინაღობის დამოკიდებულება გაზომვის ძაბვაზე და ძაბვის მოქმედების ხანგრძლივობაზე. დადგინდა, რომ თუ საიზოლაციო სისტემა დაძველებული არ არის და დაძველების

პროდუქტები ელექტროგამტარებლობაში არ მონაწილეობენ, მაშინ პოლარიზაციის ინდექსის მნიშვნელობა ოთხს აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ საიზოლაციო სისტემა საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფება. გაზომვის ძაბვის სიდიდის 4-ჯერ გაზრდით აღნიშნული კანონზომიერება უცვლელია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კარგ მდგომარეობაში მყოფი საიზოლაციო სისტემის პოლარიზაციის ინდექსის სიდიდე ძაბვაზე დამოკიდებული არ არის. განსაზღვრულია აბსორბციის კოეფიციენტი და პოლარიზაციის ინდექსი. მიღებული შედეგებით გაპეთებულია შესაბამისი დასკვნები და შეფასებულია ძრავის საექსპლუატაციო მდგომარეობა.

ცხრ. 1, ლიტ. 5.

მეტროპლიტენის ენერგომოხარების პორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

გ.ხურცილავა, ო.კილურაძე.

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 48-56. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

საქართველოს სატრანსპორტო კომპანიაში (მეტროპლიტენი) ჩატარებულია ფოკუსირებული ენერგოაუდიტი, რომლის მიზანია კორელაციური კავშირის დადგენა გადაყვანილ მგზავრების რაოდენობასა და მოხმარებულ ელექტროენერგიას შორის. საბაზისო წლის მონაცემების საფუძველზე რეგრესიის სტატისტიკის გამოყენებით დამუშავებულია ელექტროენერგიის მოხმარების მოდელი, რომელიც გამოყენებულია მონიტორინგის წლის შესაბამისი მონაცემების საანალიზოდ.

ენერგიის მაქსიმალური დანაზგის მნიშვნელობა (სამიზნე დანაზოგი) ტოლია 2092 მგვტ.სთ/წ. მონიტორინგის წელს კი ფაქტობრივად დაიზოგა –1923 მგვტ.სთ/წ. მონიტორინგის წელს ობიექტში არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ენერგოეფექტური ღონისძიება და დანაზოგიძირითადად მიღებულია ენერგიის მომხმარებლების - მოწყობილობა-დანადგარების საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებით.

ილ. 3, ცხრ. 4, ლიტ. 5.

შუალედურსაყრდენიანი ქანქარასებრი კიდული ბაბირზების პილული ელექტრო-ამძრავის მაღალი დინამიკური მახასიათებლების მქონე მოძრაობის ტაქომაზება.

რ.გურგენაძე.

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 57-63. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

შუალედურსაყრდენიანი ქანქარასებრი კიდული ბაგირგზების მოძრავ-მექანიკური ნაწილის საანგარიშო მოდელის მასათა, დრეკადი კავშირებისა და ფრიქციული გადაცემის ბლანტი ხახუნის მიერ ელექტრომექანიკურ ნაწილში წარმოქმნილი დინამიკური პროცესების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ელექტროამძრავის დინამიკური თვალსაზრისით ოპტიმალური მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ კაბინის გადაადგილების სიჩქარის, აჩქარების, ბიძგისა და ბიძგის პირველი რიგის წარმოებულის შეზღუდვის საფუძველზე შედგენილი ტაქომაზის რეალიზების შედეგად. მოკლედშერთულ როტორიანი სიხშირულ-რეგულირებადი ასინქრონული ელექტროამძრავის სტატიკური და დინამიკური მახასიათებლებისა და შუალედურსაყრდენიანი ქანქარისებრი კიდული ბაგირგზების მოძრავ-მექანიკური ნაწილის სრულყოფილი საანგარიშო მოდელის საფუძველზე, დამუშავებულია ელექტროამძრავის მოძრაობის ოპტიმალური ტაქომაზა.

ილ. 1, ლიტ. 7.

ოპტიკური ჰოლოგრაფიის გამოყენება გეტრის რევენის მექანიკაში.

გ.თურმანიძე.

"ენერგია". №1(101). 2022. თბილისი. გვ. 64-71. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ექსპერიმენტული კვლევა, რღვევის მექანიკის პარამეტრებიდან მნიშვნელოვანია K ძაბვის ინტენსიურობის კოეფიციენტი, რომელმაც საინჟინრო პრაქტიკაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი დაიკავა დრეკადობის მოდულსა და პულსონის კოეფიციენტან ერთად. იგი ითვლება მასალის მუდმივ სიდიდედ და ბზარმედეგობის ძირითად

მახასიათებლად. კ ერთადერთი პარამეტრია, რომლის მეშვეობითაც გამოითვლება დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ბზარის არეში. ერთი შეხედვით, ცემენტის ქვისათვის, რომელიც გაცილებით ერთგვაროვანი მასალაა, ეს სიდიდე უნივერსალური მახასიათებელი უნდა იყოს. ამ ეტაპზე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია დავადგინოთ, რამდენად გამოსადევია  $K_{1c}$  (გამოსახავს ბზარების ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით დაშორებას) კრიტერიუმი ცემენტის ქვისათვის. აღნიშნული ექსპერიმენტის საშუალებით, რომლის საშუალებითაც დგინდება ბზარმედეგობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის -  $K_{1c}$  მნიშვნელობები წ/ც 0,3 და 0,4 ფარდობისას. აღწერილია აღნიშნული ექსპერიმენტის მიმდინარეობა, სიზუსტე და მნიშვნელობა საშენებლო საქმიანობაში.

ილ. 3, ლიტ. 6.